

ქ. წყალტუბო

25 ოქტომბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილის სახით და მეორე მხრივ, ი.მ „თამაზი ჯანელიძე“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მინდობილი პირის - გიორგი კაკაბაძის (პ/ნ : 60001054508, მინდობილობის ნომერი №171252304 რეგისტრაციის თარიღი: 25/10/2017) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16¹ მუხლის 1-ლი პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, №SPA170012293 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
- 1.6. „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - მიმწოდებლის მიერ № SPA170012293 ერთეობრივ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. შესყიდვის ობიექტი, ტექნიკური პირობები და კლასიფიკატორის კოდი

- 2.1. შესყიდვის ობიექტი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- 2.2. კლასიფიკატორის კოდი: (CPV 45200000);
- 2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 108867.79 (ას რვაათას რვაას სამოცდაშვიდი ლარი და 79 თეთრი) ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

- 4.1. სამუშაოების შესრულების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2018 წლის 3 იანვრის ჩათვლით. აღნიშნულ ვადაში ასევე მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დადებითი დასკვნა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე.
- 4.2. მიწოდების ადგილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი თერნალი.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება

- 5.1. ხელშეკრულებითა და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლს ახორციელებს "შემსყიდველი" და მის მიერ ზედამხედველობაზე უფლებამოსილი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური;

1.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში "შემსყიდველი" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს კონტროლი/ინსპექტირება;

5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს "შემსყიდველი", კონტროლის/ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პირობებით: პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით, იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" კონტროლის/ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;

5.4. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე (შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი ევალება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურს);

5.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ფარული სამუშაოების დაწყებისა და დასრულების შემთხვევაში აცნობოს „შემსყიდველს“.

6. დაზღვევა

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ვალდებული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან ქვეკონტრაქტორის პერსონალი და სხვა).

6.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოების წარმოების პერიოდში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. „შემსყიდველ“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

7.2. შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისას, „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარმოადგინოს ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული ექსპერტიზის დადებითი დასკვნა შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე.

7.3. სამუშაოს დასრულების ვადათ ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე.

7.4. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.5. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზ(ებ)ის მითითებით.

7.6. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოს ამსახველი ფოტო მასალები (სამუშაოს დაწყებამდე, მიმდინარე და საბოლოო), ფარული სამუშაოების აქტები.

7.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო შეასრულოს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და "შემსყიდველის" მოთხოვნების შესაბამისად. წესებიდან და ნორმებიდან, ხელშეკრულების პირობებიდან ნებისმიერ გადახვევის შემთხვევაში "შემსყიდველი" უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და „მიმწოდებლის“ მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

8. ანგარიშწორება და ვალუტა

8.1. ანგარიშწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მხარეებს შორის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8.2. მიმწოდებელთან ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშწორება განხორციელდება შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარში.

8.4. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, „შემსყიდველი“-ს მიერ ყოველ შესრულებულ სამუშაოზე დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის 2.5%-ის დაბრუნება მოხდება სამუშაოების სრული დასრულებისა და „შემსყიდველი“-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი (აღნიშნული თანხის დაკავების ფორმას განსაზღვრავს „შემსყიდველი“) სამუშაოების საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის ან სპეციალური კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, „მიმწოდებელს“ აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

8.5. „მიწოდებლი“-ს მოთხოვნით, მხარეთა შორის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე (ავანსი) მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიწოდებლი“-ს მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი გასაცემი ავანსის ოდენობის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულებიდან ეროვნულ ვალუტაში (ლარში) გაცემული უპირობო გამოუთხოვადი გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადას.

9. ფასები

- 9.1. მიწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
- 9.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.
- 9.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლადაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. გარანტია

- 10.1. „მიწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესრულებს სამუშაოს არსებული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.
- 10.2. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს სამ წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც „მიწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

- 11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

- 12.1. მიწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.
- 12.2. მიწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
- 12.3. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უფლება-მოვალეობების გადაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ) ფორმდება წერილობითი სახით შემსყიდველს, მიწოდებელსა და მესამე პირს შორის.

13. ქვეკონტრაქტორები

- 13.1. მიწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ.
- 13.2. მიწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს ქვეკონტრაქტორს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის თანხმობის გარეშე.
- 13.3. ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში - „შავი სია“.
- 13.4. შემსყიდველის თანხმობის გარეშე ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია მიწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს ჯარიმის სახით პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 2%-ის ოდენობით.
- 13.5. ქვეკონტრაქტზე წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია:
 - ქვეკონტრაქტორის დასახელება და მისამართი;

- ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება და ღირებულება;
- ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი ხელშეკრულებ(ებ)ის ასლები და შესაბამისი სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ასლები.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. მხარეთა უფლება-მოვალეობები

15.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

15.1.1. შესასრულებელი სამუშაოების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს "მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია;

15.1.2. აწარმოოს ინსპექტირება სამუშაოების მიმდინარეობაზე საამისოდ შერჩეულ პირთან/ორგანოსთან ერთად, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების შესაბამისად;

15.1.3. შეაჩეროს მიმდინარე სამუშაოები დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში.

15.1.4. მიმწოდებლის მიერ 7.5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ შესრულებულ სამუშაოში ან/და დოკუმენტაციაში ხარვეზის, ან/და ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, სამუშაო არ ჩაითვლება დასრულებულად, რის შესახებაც წერილობით ეცნობება მიმწოდებელს და მის მიმართ გატარდება ხელშეკრულების 16.2.2. პუნქტით გათვალისწინებული სანქციები.

15.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

15.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

15.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

15.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

15.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

15.4.2. წარუდგინოს „შემსყიდველს“ ან მის მიერ ზედამხედველობაზე უფლებამოსილ პირს/ორგანოს ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ, ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული წესის და/ან მოთხოვნის შესაბამისად.

15.4.3. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

15.4.4. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

15.4.5. სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოებებისა და სინათლის ამრეკლი შუქნიშნების დაყენება.

15.4.6. მშენებლობის დროს აუცილებლად იხელმძღვანელოს СНИП-ებით, შეასრულოს და დაიცვას და მათი მოთხოვნები შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკაში.

15.4.7. მომუშავენი უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და ასევე ასრულებდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებებს.

15.4.8. შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით.

15.4.9. სამუშაოს დასრულების შემდეგ 10(ათი) დღის ვადაში თავისი ძალებითა და სახსრებით გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი და მიმდებარე ტერიტორია სამშენებლო მოწყობილობა—დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში "შემსყიდველის", "მიმწოდებლის" და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ინსპექტირების მიზნით შერჩეული პირის/ორგანოს მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი.

16.2. დაუძლეველი ძალის გარდა, "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების სრულად შეუსრულებლობის, ნაწილობრივ შესრულების ან/და დავიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

16.2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესასრულებელ სამუშაოთა სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში "მიმწოდებელს" დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური/საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

16.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესასრულებელ სამუშაოთა ნაწილობრივ შესრულებისათვის "მიმწოდებელს" დაეკისრება ჯარიმა შესასრულებელი (დარჩენილი) სამუშაოს ღირებულების 10%-ის ოდენობით;

16.2.3. თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს შესასრულებელ სამუშაოთა დასრულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადას, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური/საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

16.2.4. თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს მის მიერ წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების ფინანსურ-ხაზობრივი გრაფიკით გათვალისწინებულ შესაბამისი სამუშაოს შესრულების ვადას, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესაბამისი შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

16.2.5. ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.4 პუნქტის 15.4.9 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

16.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმის/პირგასამტეხლოს დაკისრებული თანხა შეტყობინების ჩაბარებიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში და უზრუნველყოს დარღვეული პირობის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

16.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის“ დაჯარიმების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

16.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადაში განხორციელებისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ თავისუფლდება ხელშეკრულების 16.2.4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან.

16.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

17.1. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს/არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან თუ „მიმწოდებელმა“ თვითნებურად შეწყვიტა სამუშაოების შესრულება.

ბ) თუ „მიმწოდებელი“ სისტემურად და/ან უხეზად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ს;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

17.2. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

17.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

18. ფორს-მაჟორი

18.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

18.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

18.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

18.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

19.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. გამოყენებული სამართალი

20.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. ხელშეკრულების ენა

21.1. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადაწყვეტის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

22. შეტყობინება

22.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

23. გადასახადები და დაბეგრვა

23.1. უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

23.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

24.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 მარტის ჩათვლით. გარდა ხელშეკრულების მე-10 მუხლისა.

24.2. ხელშეკრულების მე-10 მუხლი მოქმედებს 10.2 პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო ვადის ამოწურვამდე.

25. სხვა პირობები

- 25.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 25.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 25.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 25.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 25.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25

ს/ს „ლიბერთი ბანკის“ წყალტუბოს ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა: №GE25LB0120123490525000
ს/კოდი: 221274546

მიმწოდებელი:

ი.მ „თამაზი ჯანელიძე“
მის: ქუთაისი, ბუხაიძის ქ. #25/38

ს/ს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა: №GE33TB7908536010100003
ს/კოდი: 27001001250
ტელ: 571204243

მუნიციპალიტეტის გამგებელი

კონსტანტინე მამისიშვილი

ბ. ა.



ი.მ „თამაზი ჯანელიძის“
მინდობილი პირი
გიორგი კაკაბაძე

ბ. ა.



სოფ. თერნალის საბაგეო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოების დასახელება | განზიშღებს | რაოდენობა | მასალა | | სულები | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|----|--|------------|-----------|---------------|----------|---------------|----------|---------------|--------|----------|
| | | | | პროექტის ფასი | სულ | პროექტის ფასი | სულ | პროექტის ფასი | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 1 | სადემონტაჟო სამუშაოები | | | | | | | | | |
| 1 | ოტაკების დემონტაჟი, სის ძეგლი ოტაკების დასაწყობებით შექმნილ გამოყენებისათვის | მ | 613.25 | | | 0.50 | 306.63 | | | 306.63 |
| 3 | ძველი კარების და მეტალბოლახსტამბის ყანჯარების დემონტაჟი დასაწყობებით | ც | 9.00 | | | 2.50 | 22.5 | | | 22.50 |
| 4 | ტობრების დემონტაჟი, კარების დობების გამოწერვა პროექტის მიხედვით (სათანადო კონსტრუქციული გაზაფერების გამოყენებით) | მ | 4.50 | | | 5.00 | 22.50 | | | 22.50 |
| 5 | ფასადის და შიდა კედლებზე ძველი ბათქაშის ჩამოიქვსა (კარნიზების და სახლების გარეშე) | მ | 973.30 | | | 1.10 | 1,070.63 | | | 1,070.63 |
| 6 | ძველი ხანძარიკის დემონტაჟი | წერტი | 6.00 | | | 10.00 | 60.00 | | | 60.00 |
| 7 | სამშენებლო ნაგვის დატვირთვა და გატანა ტრანსპორტით | ტ | 43.00 | | | 5.00 | 215.00 | 6.00 | 258.00 | 473.00 |
| | ჯამი | | | | | | 1,697.26 | | 258.00 | 1,955.26 |
| 2 | სამშენებლო სამუშაოები | | | | | | | | | |
| 1 | მეტალბოლახსტამბის ყანჯარების მოწობა (L15X1.75)X2ც | მ | 4.03 | 76.27 | 307.37 | 12.50 | 50.38 | | | 357.75 |
| 2 | მეტალბოლახსტამბის ყანჯარებში მინა-აკრძების მოწობა | მ | 18.00 | 25.42 | 457.56 | 5.00 | 90.00 | | | 547.56 |
| 3 | მეტალბოლახსტამბის სარკმელების მოწობა დობასის კედლების ზედა ნაწილში | მ | 0.60 | 76.27 | 45.76 | 12.50 | 7.50 | | | 53.26 |
| 4 | კიბის საფუბურების მოწობა შესახველეთთან | ც | 6.00 | 67.80 | 406.80 | 25.00 | 150.00 | | | 556.80 |
| 5 | პანდუსის მოწობა ზეტიონი (L00X5.00) შესახველეთთან კიბურზე | მ | 1.25 | 93.22 | 116.53 | 40.00 | 50.00 | | | 166.53 |
| | მოჯირის მოწობა ანდესზე მდლკარდატი | მ | 18.00 | 25.42 | 457.56 | 10.00 | 180.00 | | | 637.56 |
| 6 | 50X50X2მმ (პროექტის მიხედვით) და შედგება ხუთოფანი საღებავით ორჯერ | მ | 105.00 | 10.17 | 1,067.85 | 2.00 | 210.00 | | | 1,277.85 |
| 7 | ოტაკის შეყვება ბალახატიო სისქით 40 სმ | მ | 105.00 | - | - | 4.00 | 420.00 | | | 420.00 |
| 8 | ოტაკებზე თბოიზოლაციის სატკეპნით | მ | 26.30 | 55.08 | 1,448.60 | 5.00 | 131.50 | | | 1,580.10 |
| 9 | ოტაკებზე თბოიზოლაციის (კერამზიდის) მოწობა სისქით 100 მმ | მ | 325.50 | 5.51 | 1,793.51 | 5.00 | 1,627.50 | | | 3,421.01 |
| 10 | ოტაკებზე ქიმა-ცემენტის მოჭიმვის მოწობა სისქით 50მმ | მ | 185.20 | 13.56 | 2,511.31 | 4.50 | 833.40 | | | 3,344.71 |
| 11 | ოტაკებზე ლამინირებული პარკეტის მოწობა თავისივე კლიენტულებით | | | | | | | | | |

| № | აღწერა | კოდეტი | მთლიანი | მსხვერპლი | | საფასო | | ტრანსპორტი | ჯამი |
|----|--|--------|---------|-----------|-----------|---------|-----------|------------|-----------|
| | | | | მთლიანი | მსხვერპლი | მთლიანი | მსხვერპლი | | |
| 12 | კვლევის მოწყობა კერძო კომპანიაში (საფასო) 1.5 მთლიანი | 82 | 122.40 | 18.64 | 2,281.54 | 8.00 | 979.20 | | 3,260.74 |
| 13 | ტექნიკური ტრენინგი (იგივე ტექ. ტრენინგის კონტრაქტი, წიგნების გამოყენების გამოყენებით) | 82 | 140.30 | 22.03 | 3,090.81 | 8.00 | 1,122.40 | | 4,213.21 |
| 14 | ტრენინგის მოწყობა საშუალებით ტრენინგის ბიუჯეტით | 3 | 375.00 | 0.93 | 348.75 | 0.50 | 187.50 | | 536.25 |
| 15 | კვლევის და ფინანსების დოკუმენტის მოწყობა საშუალებით ბიუჯეტით პროექტის მიხედვით | 3 | 125.00 | 1.27 | 158.75 | 1.00 | 125.00 | | 283.75 |
| 16 | ფასადის და შიდა კვლევის შედეგის კონსულტაციის ხარჯები | 82 | 231.00 | 2.12 | 489.72 | 5.00 | 1,155.00 | | 1,644.72 |
| 17 | ინტერვიუს კვლევის შედეგის გაცემა | 82 | 823.00 | 1.27 | 1,045.21 | 3.00 | 2,469.00 | | 3,514.21 |
| 18 | კონსულტაციის აღდგენა კონსულტაციის ხარჯებით | 8 | 42.50 | 4.24 | 180.20 | 4.00 | 170.00 | | 350.20 |
| 19 | შეწოდების განმეორება ანტიკორუფციული (ერთ დონის) პროექტის (მაგისტრისგან (რ=5მმ) დაზარალებული უწყისით (15მმX15მმ)) | 83 | 10.10 | 93.22 | 94.15 | 5.00 | 50.50 | | 992.02 |
| 20 | საინჟინერო მოწყობის ბიუჯეტით (99.5X10X0.15) | 82 | 28.00 | 4.24 | 118.72 | 5.00 | 140.00 | | 258.72 |
| 21 | ინჟინერინგის დაზარალებული პროექტის პროექტის ბიუჯეტით | 82 | 297.50 | 4.24 | 1,261.40 | 3.00 | 892.50 | | 2,153.90 |
| 22 | კანალიზაციის მოწყობის (რ=50 მმ) დაკრებივის ცენტრალური მიწისზე | 8 | 20.00 | 1.61 | 32.20 | 2.00 | 40.00 | | 72.20 |
| 23 | კვლევის ტექნიკური საბუღალტრო ხელსაშლის მოწყობის ხარჯები | კომპლ. | 1.00 | 93.22 | 93.22 | 15.00 | 15.00 | | 108.22 |
| 24 | საინჟინერო ორგანიზაციის საინჟინერო (1.5 X0.8 მ) მოწყობის აღდგენა | 82 | 2.50 | 21.19 | 52.98 | 10.00 | 25.00 | | 77.98 |
| 25 | ინჟინერული ბიუჯეტის მართვის მოწყობა (0.06 მმ) საინჟინერო | 82 | 1.20 | 12.71 | 15.25 | 10.00 | 12.00 | | 27.25 |
| 26 | ინჟინერული (რ=6მმ) | 8 | 18.00 | 0.68 | 12.24 | | | | 12.24 |
| 27 | ბიუჯეტის 8250 | 83 | 0.06 | 93.22 | 5.59 | | | | 5.59 |
| 28 | კვლევის შედეგის ცენტრის ხარჯები და კვლევის მოწყობის საინჟინერო პროექტის დაგეგმვა (წიგნების გამოყენებით) | 82 | 7.00 | 27.12 | 189.84 | 15.00 | 105.00 | | 294.84 |
| 29 | ტრენინგის მოწყობა (რ=100 მმ) საინჟინერო პროექტის დაგეგმვა (რ=100 მმ) დაკრებივის | 3 | 2.00 | 11.86 | 23.72 | 10.00 | 20.00 | | 43.72 |
| 30 | საინჟინერო ნაგებობის დაგეგმვა და დაგეგმვის ტრანსპორტი | 8 | 10.00 | - | - | 8.00 | 80.00 | 7.00 | 150.00 |
| | ჯამი | | | 18,954.50 | | | 11,338.38 | 70.00 | 30,362.89 |

| № | კარგების მოწოდება | მასალა | ბეღლები | ტრანსპორტი | საერთო ღირებულება | | | |
|----|---|----------------|---------|------------|-------------------|--------|----------|----------|
| 3 | მეტალბრუნვის კარგების მოწოდება ხველ წარმოების | | | | | | | |
| 1 | მეტალბრუნვის კარგების მოწოდება ხველ წარმოების | 82 | 12.40 | 88.98 | 1,033.35 | 155.00 | 1,288.35 | |
| 2 | მდე-ის კარგების მოწოდება (90X220)X4G | ცალი | 4.00 | 161.02 | 644.08 | 25.00 | 100.00 | 744.08 |
| 3 | მდე-ის კარგების მოწოდება (95X220)X5G | ცალი | 5.00 | 161.02 | 805.10 | 25.00 | 125.00 | 930.10 |
| | ჯამი | | | | 2,552.53 | | 380.00 | 2,932.53 |
| 4 | ღობის მოწოდება | | | | | | | |
| 1 | კრუნის დამუშავება ხელით დამუშავებული საბრუნავის (95X0.20X0.20) მოსაწოდებლად 95 მ-ზე | პ ³ | 3.80 | | | 5.00 | 19.00 | 19.00 |
| 2 | ორმოების ამოღება (მდე,კვადრატების ჩასაბეჭობლად) | პ ³ | 0.58 | | | 5.00 | 2.90 | 2.90 |
| 3 | კრუნის დამუშავება საბრუნავის ქვიშ (95X0.2) | პ ² | 19.00 | | | 4.00 | 76.00 | 76.00 |
| 4 | ღობის ფენის მოწოდება საბრუნავის ქვიშ სისქით 5 სმ | პ ³ | 1.00 | 21.19 | 21.19 | 5.00 | 5.00 | 26.19 |
| 5 | მინორიტივი რკინის საბრუნავის (95X0.20X0.20) მოწოდება მ-200 ბეჭობით | პ ³ | 3.80 | 38.14 | 144.93 | 10.00 | 38.00 | 182.93 |
| | არმატურა A-I (ლ=6 მმ) | პ | 450.00 | 0.68 | 306.00 | | | 306.00 |
| | არმატურა A-III (ლ=12 მმ) | პ | 400.00 | 1.36 | 544.00 | | | 544.00 |
| 6 | მდე,კვადრატის ძირების ჩამოტრეხვა ორმოებში მ-200 ბეჭობით | პ ³ | 0.58 | 55.08 | 31.95 | | 0.00 | 31.95 |
| 7 | კრუნის მოწოდება (95X0.2X0.10) მოწოდება ბეჭობით მ-200. | პ ³ | 1.90 | 55.08 | 104.65 | | 0.00 | 104.65 |
| 10 | მდე,კვადრატის 50X50X3მმ h=2.0მ, 46G (ღობის სვეტებისათვის) | პ | 92.00 | 9.41 | 865.72 | | 0.00 | 865.72 |
| 11 | მდე,კვადრატის 40X30X2მმ ღობის ჩამოტრეხვისთვის | პ | 322.00 | 4.92 | 1584.24 | | 0.00 | 1584.24 |
| 12 | მდე,კვადრატის 30X20X1.8მმ | 2 | 760.00 | 3.56 | 2705.60 | | 0.00 | 2705.60 |
| 13 | ღობის შეღებვა ჰეოთრანი საცხდელი ორჯერ | პ ² | 285.00 | 1.69 | 481.65 | 1.50 | 427.50 | 909.15 |
| | ჯამი | | | | 6,789.93 | | 568.40 | 7,358.33 |
| 5 | სამუშაოების აღმასრულებელი | | | | | | | |
| 1 | ფასადის კვლევაზე შეყვანის მოწოდება და შეღებვა საინჟინერო ფასადის საცხდელი ორჯერ | პ ² | 300.00 | 1.69 | 507.00 | 2.00 | 600.00 | 1,107.00 |
| 2 | შეღებვა წყალგამტარის საცხდელი ორჯერად (სამუშაოების აღმასრულებლის მოწოდებით) | პ ² | 823.00 | 1.69 | 1,390.87 | 2.00 | 1,646.00 | 3,036.87 |
| 3 | შეღებვის დამუშავება ფიხით და შეღებვა წყალგამტარის საცხდელი ორჯერად | პ ² | 297.50 | 1.69 | 502.78 | 2.00 | 595.00 | 1,097.78 |
| | ჯამი | | | | 2,400.65 | | 2,841.00 | 5,241.65 |
| 6 | კანალიზაციის მოწოდება კომუნიკაციების მოწოდება ადრესის საკანალიზაციო ქსელის მოსაწოდებლად (100X100X200)X3მ. | პ ³ | 6.00 | | | 5.00 | 30 | 30.00 |

| | შ | კ | 3.00 | მასალა | | ბელოვანი | | ტრანსპორტი | | |
|----|--|------|---------|--------|-----------|----------|-----------|------------|--------|-----------|
| | | | | 101.69 | 305.07 | 25.00 | 75.00 | | | |
| 2 | საკანალიზაციო ჰაზის მოწყობა, ბეტონის მილგბით (100X100X200) და სახურავით | ც | | | | | | | | 380.07 |
| 3 | მაწის ობინის აძირება კანალიზაციის აუზის მისასწორებლად (640X300X240(h)) | მ | 46.08 | | | | | 15.00 | 69.120 | 691.20 |
| 4 | ორმაგი აბინირების (20X20 უკრით დ=10 მ) მოწყობა აუზისათვის | მ | 1670.00 | 1.10 | 1837.00 | 0.30 | 501.00 | | | 2338.00 |
| 5 | ფანის მოწყობა ფიცრით ბეტონის ჩასასხმელად | მ | 54.00 | 14.41 | 778.14 | 3.00 | 162.00 | | | 940.14 |
| 6 | ბეტონის ჩასხმა (მ 250) | მ | 16.70 | 93.22 | 1556.77 | 20.00 | 334.00 | | | 1890.77 |
| 7 | კანალიზაციის თუჯის თავსახურის მოწყობა აუზზე | ც | 1.00 | 110.17 | 110.17 | 10.00 | 10.00 | | | 120.17 |
| 8 | მაწის ობინის აძირება საკანალიზაციო ტრასის მისასწორებლად სათანადო დანით ქსკეპტორით | მ | 43.00 | | | | 0.00 | 15.00 | 645.00 | 645.00 |
| 9 | გოფირებული მილგბით (დ=150მმ) საკანალიზაციო ტრასის მოწყობა აუზამდე ჰაზის გავლით (საჭირო ფასირებით ნაწილებით) | მ | 65.00 | 16.95 | 1101.75 | 2.00 | 130.00 | | | 1231.75 |
| 10 | პლასტიკის სქელკედლიანი მილგბით (დ=100მმ) საკანალიზაციო ტრასის მოწყობა საჩხარეულოდან აუზამდე (საჭირო ფასირებით ნაწილებით) | მ | 27.00 | 5.08 | 137.16 | 3.00 | 81.00 | | | 218.16 |
| 11 | მაწის რეჟიმის ობინირება, ობინირება აუზის ობინირება და აუზის ობინირება ქსკეპტორით | მ | 22.00 | | | 2.50 | 55.00 | 15.00 | 330.00 | 385.00 |
| 12 | სამშენებლო ნაწილებებისა და ხელმოქმედიანი კაბანის ტერორირიდან | ბ | 24.00 | | 0.00 | | 0.00 | 15.00 | 360.00 | 360.00 |
| | | | | | 5826.06 | | 1378.00 | 2026.20 | | 9230.26 |
| 7 | ტერიტორიის მოზანადეგება | | | | | | | | | |
| 1 | მაწის ობინის მოზანადეგება (იველი ფილტვის აუზი) | მ | 13.20 | | | 5.00 | 66.00 | | | 66.00 |
| 2 | წინააღმდეგობრივი ღირსით ტერიტორიის მოსწორება და მოტეხვა | მ | 6.60 | 21.20 | 139.92 | 8.00 | 52.80 | | | 192.72 |
| 3 | მოზარეული ფილტვის (40 მ სიღრმის) მოწყობა ქიშკი-ცეპტორის საფუძველზე | მ | 132.00 | 23.73 | 3132.36 | 5.00 | 660.00 | | | 3792.36 |
| 4 | ქიშკი-ცეპტორის ხსნარი | მ | 4.00 | 93.22 | 372.88 | | | | | 372.88 |
| 5 | არსებული ბეტონის პორტირების გაქმნა, გაფხვრა, განახლება | მ | 68.00 | | | 5.00 | 340.00 | | | 340.00 |
| | | | | | 3,645.16 | | 1,118.80 | | | 4,763.96 |
| | | | | | 40,168.83 | | 19,321.83 | 2,354.20 | | 61,844.88 |
| | | 7% | | | | | | | | 4,329.14 |
| | | 7% | | | | | | | | 66,174.02 |
| | | | | | | | | | | 4,632.18 |
| | | | | | | | | | | 70,806.20 |
| 1 | კაპი | | | | | | | | | |
| 1 | კლექტორი | | | | | | | | | |
| 1 | განათების რეგულირება ფარი 10 ერთობლივანი ავტომატით, სიმძლავრით 220 ვოლტ ძაბვაზე | ცალი | 1.00 | 13.56 | 13.56 | 5.00 | 5.00 | | | 18.56 |

| | კვალი | 19.00 | შახლა | | ხელუცასი | | ტრანსპორტი | |
|--|--------|--------|----------|----------|----------|----------|------------|----------|
| | | | 21.19 | 402.61 | 5.00 | 95.00 | | |
| 2 დუმიანეცენტური სანაოი 2X18 | ცალი | 19.00 | | | | | | 497.61 |
| 3 ვაზე განაოების სანაოი, კემენტოული შესრულეკის IX60 ვაჭი (YC-60) | ცალი | 8.00 | 33.90 | 271.20 | 5.00 | 40.00 | | 311.20 |
| 4 ჭერის წერტილოვანი განაოების სანაოი, სიმა. IX60 ვაჭი | ცალი | 16.00 | 21.19 | 339.04 | 5.00 | 80.00 | | 419.04 |
| 5 კერინაოურთან ბრის ტიპის სანაოი, სიმა. IX60 ვაჭი (G) | ცალი | 11.00 | 5.08 | 55.88 | 5.00 | 55.00 | | 110.88 |
| 6 კრობოლუსიანი ამბორეკლი, ნორმალური შესრულეკის | ცალი | 8.00 | 5.93 | 47.44 | 5.00 | 40.00 | | 87.44 |
| 7 ორბოლუსიანი ამბორეკლი, ნორმალური შესრულეკის | ცალი | 8.00 | 11.86 | 94.88 | 5.00 | 40.00 | | 134.88 |
| 8 დღის ნოეების სანაოი IX100 კე. | ცალი | 36.00 | 11.86 | 426.96 | 5.00 | 180.00 | | 606.96 |
| 9 სბოლენის პირეფიანი სადენი, კეჟო. (3X1.5) კე.შ. (GGD-0.66) | შ | 500.00 | 1.61 | 805.00 | 0.50 | 250.00 | | 1,055.00 |
| 10 სბოლენის პირეფიანი სადენი, კეჟო. (3X2.5) კე.შ. (GGD-0.66) | შ | 450.00 | 1.69 | 760.50 | 0.50 | 225.00 | | 985.50 |
| 11 სბოლენის პირეფიანი სადენი, კეჟო. (3X6) კე.შ. (GGD-0.66) | შ | 40.00 | 2.97 | 118.80 | 0.50 | 20.00 | | 138.80 |
| 12 სბოლენის პირეფიანი სადენი, კეჟო. (IX10) კე.შ. (GD-0.66) | შ | 20.00 | 3.39 | 67.80 | 0.50 | 10.00 | | 77.80 |
| 13 გამანაწილეკლი კოლოეი (E-407) | ცალი | 65.00 | 0.51 | 33.15 | 5.00 | 325.00 | | 358.15 |
| 14 გამწოეი ვერტიკალური 300კმ. | ცალი | 3.00 | 21.19 | 63.57 | 5.00 | 15.00 | | 78.57 |
| საკეროი ვაჭი | | | | 3,500.39 | | 1,380.00 | | 4,880.39 |
| ხედნადეკი ხარჯეკი შრობოი ანა ხეღურეკის ვაჭი | 75% | | | | | | | 1,035.00 |
| გემოური მოეკა | 8% | | | | | | | 5,915.39 |
| ვაჭი | | | | | | | | 333.37 |
| ვაჭი | | | | | | | | 6,248.76 |
| ვაჭი | | | | | | | | |
| 1 კელის წილგამობოელო საკონენსაციო ქეპი გაზის საწეეე (32 კეე), კლემტრონოელო კონტროლოი; აეზ-აეკეულეკოთიან; საეფაოიეკელ აეზიან; | კომპლ. | 1.00 | 1,694.92 | 1,694.92 | 50.00 | 50.00 | | 1,744.92 |
| 2 საციეკულაციო ტეჟბის დამინტეეეა | კომპლ. | 1.00 | 194.92 | 194.92 | 50.00 | 50.00 | | 244.92 |
| 3 პანელური რადიაციოი-600X600 | კომპლ. | 3.00 | 72.03 | 216.09 | 5.00 | 15.00 | | 231.09 |
| 4 იეეეე: 1000X600 | კომპლ. | 15.00 | 101.69 | 1,525.35 | 5.00 | 75.00 | | 1,600.35 |
| 5 იეეეე: 1200X600 | კომპლ. | 1.00 | 118.64 | 118.64 | 5.00 | 5.00 | | 123.64 |
| 6 მეტალოპლასტიკის მიღეკი ჭ20 | შ | 26.00 | 1.61 | 41.86 | 2.00 | 52.00 | | 93.86 |
| 7 მეტალოპლასტიკის მიღეკი ჭ25 | შ | 50.00 | 2.46 | 123.00 | 2.00 | 100.00 | | 223.00 |
| 8 მეტალოპლასტიკის მიღეკი ჭ32 | შ | 40.00 | 3.47 | 138.80 | 2.00 | 80.00 | | 218.80 |
| 9 მეტალოპლასტიკის მიღეკი ჭ40 | შ | 50.00 | 5.00 | 250.00 | 2.00 | 100.00 | | 350.00 |

| | მასალი | ბელოვანი | ტრანსპორტი | ცალი | ფაქტი | მასალი | ბელოვანი | ფაქტი | ცალი | მასალი | | ბელოვანი | | ტრანსპორტი |
|------------|--|----------|------------|--------|----------|--------|----------|-----------------|------|--------|----------|----------|-----------------|------------|
| | | | | | | | | | | მასალი | ბელოვანი | ფაქტი | ბელოვანი | |
| 10 | წამკერი კენტელი ფ20 | 4.00 | 4.00 | 5.93 | 23.72 | 2.00 | 8.00 | 31.72 | - | - | - | - | 31.72 | |
| 11 | წამკერი კენტელი ფ25 | 4.00 | 4.00 | 6.78 | 27.12 | 2.00 | 8.00 | 35.12 | - | - | - | - | 35.12 | |
| 12 | წამკერი კენტელი ფ32 | 4.00 | 4.00 | 8.47 | 33.88 | 2.00 | 8.00 | 41.88 | - | - | - | - | 41.88 | |
| 13 | წამკერი კენტელი ფ40 | 4.00 | 4.00 | 12.71 | 50.84 | 2.00 | 8.00 | 58.84 | - | - | - | - | 58.84 | |
| 14 | ფასონური ნაწილები | 35.00 | 35.00 | 0.59 | 20.65 | 2.00 | 70.00 | 90.65 | - | - | - | - | 90.65 | |
| 15 | გამანაწლებელი საფარტეხელა 0,5 მ | 2.00 | 2.00 | 29.66 | 59.32 | 5.00 | 10.00 | 69.32 | - | - | - | - | 69.32 | |
| 16 | კაბრეტირებელი კენტელი ფ15 | 2.00 | 2.00 | 21.19 | 42.38 | 5.00 | 10.00 | 52.38 | - | - | - | - | 52.38 | |
| 17 | საკვამლე მღვი თხელიტურტლოფანი ფოლიდასიდან | 1.00 | 1.00 | 25.42 | 25.42 | 5.00 | 5.00 | 30.42 | - | - | - | - | 30.42 | |
| 18 | მიღების ბონტაჟის დროს დაზარალებული კვლდებისა და ინტეგრაციის აღდგენა (გამოცემა, ხაშკირი სამუშაოების ჩატარება) | 32 | 10.00 | 4.24 | 42.40 | 5.00 | 50.00 | 92.40 | - | - | - | - | 92.40 | |
| | | | | | 4,629.31 | | 704.00 | 5,333.31 | | | | | 5,333.31 | |
| | ზედადავები ხარჯები შრომითი ანაზღაურების | 68% | | | | | | 478.72 | | | | | 478.72 | |
| | ჯამი | | | | | | | 5,812.03 | | | | | 5,812.03 | |
| | გამოყენებული მოვლა | 8% | | | | | | 142.30 | | | | | 142.30 | |
| III | ჯამი | | | | | | | 5,954.33 | | | | | 5,954.33 | |
| 2 | სანტექნიკის სამუშაოები | | | | | | | | | | | | | |
| | ცირი წყალი | | | | | | | | | | | | | |
| 1 | პოლიეთილენის მილუბი (უფოლგი) d20 | მ | 28.00 | 1.02 | 28.56 | 1.00 | 28.00 | 56.56 | | | | | 56.56 | |
| 2 | პოლიეთილენის მილუბი (უფოლგი) d25 | მ | 54.00 | 1.95 | 105.30 | 1.00 | 54.00 | 159.30 | | | | | 159.30 | |
| 3 | პოლიეთილენის მილუბი (უფოლგი) d32 | მ | 8.00 | 3.22 | 25.76 | 1.00 | 8.00 | 33.76 | | | | | 33.76 | |
| 4 | პოლიეთილენის მილუბი (უფოლგი) d32 - წილის რეზერვუარითა და უნიფორმით | მ | 25.00 | 3.14 | 78.50 | 11.00 | 275.00 | 353.50 | | | | | 353.50 | |
| 5 | წამკერი მოწყობის მუშაობის რეზერვუარითა და უნიფორმით | ც | 1.00 | 127.12 | 127.12 | 50.00 | 50.00 | 177.12 | | | | | 177.12 | |
| 6 | კენტელი d20 | ცალი | 6.00 | 8.05 | 48.30 | 2.00 | 12.00 | 60.30 | | | | | 60.30 | |
| 7 | კენტელი d25 | ცალი | 6.00 | 9.32 | 55.92 | 2.00 | 12.00 | 67.92 | | | | | 67.92 | |
| 8 | კენტელი d32 | ცალი | 3.00 | 12.71 | 38.13 | 2.00 | 6.00 | 44.13 | | | | | 44.13 | |
| 9 | წამკერი d 25 | ცალი | 1.00 | 55.08 | 55.08 | 10.00 | 10.00 | 65.08 | | | | | 65.08 | |
| 10 | ფასონური ნაწილები | ცალი | 54.00 | 21.19 | 1,444.26 | 2.00 | 108.00 | 1,252.26 | | | | | 1,252.26 | |
| 11 | პოლიეთილენის მილუბის ხაშკირი (საბავრი) ცხელი წყალი | ცალი | 60.00 | 0.25 | 15.00 | 0.50 | 30.00 | 45.00 | | | | | 45.00 | |
| 1 | პოლიეთილენის მილუბი (უფოლგი) d20 | მ | 25.00 | 1.10 | 27.50 | 1.00 | 25.00 | 52.50 | | | | | 52.50 | |
| 2 | პოლიეთილენის მილუბი (უფოლგი) d25 | მ | 80.00 | 1.95 | 156.00 | 1.00 | 80.00 | 236.00 | | | | | 236.00 | |
| | პოლიეთილენის მილუბი (უფოლგი) d32 | მ | 8.00 | 3.22 | 25.76 | 1.00 | 8.00 | 33.76 | | | | | 33.76 | |
| 3 | კენტელი d20 | ცალი | 3.00 | 8.05 | 24.15 | 2.00 | 6.00 | 30.15 | | | | | 30.15 | |
| 4 | კენტელი d25 | ცალი | 5.00 | 9.32 | 46.60 | 2.00 | 10.00 | 56.60 | | | | | 56.60 | |

| № | წარმომადგენლის სახელი | წილი | მასალი | | ხელუცასი | | ტრანსპორტი |
|----|---------------------------------------|-------|--------|----------|----------|----------|------------|
| | | | წილი | წილი | წილი | წილი | |
| 5 | ფაქონური ნაწილები | 39.00 | 0.59 | 23.01 | 0.50 | 19.50 | 42.51 |
| 6 | პოლიეთილენის მღლები საღებო (სამკაგრი) | 60.00 | 0.42 | 25.20 | 0.50 | 30.00 | 55.20 |
| | კანალიზაცია | | | | | | |
| 1 | პოლიეთილენის მღლები d50 | 20.00 | 2.54 | 50.80 | 1.00 | 20.00 | 70.80 |
| 2 | პოლიეთილენის მღლები d100 | 26.00 | 4.66 | 121.16 | 1.00 | 26.00 | 147.16 |
| 3 | ფაქონური ნაწილები d50-d100 | 22.00 | 2.97 | 65.34 | 0.50 | 11.00 | 76.34 |
| 4 | ტუბი d100 | 2.00 | 8.47 | 16.94 | 2.00 | 4.00 | 20.94 |
| 5 | ხელსაწილი სოფონი და შერეული | 7.00 | 93.22 | 652.54 | 25.00 | 175.00 | 827.54 |
| 6 | ურთავი ჩამრეცი აქსი | 8.00 | 121.74 | 973.92 | 50.00 | 400.00 | 1,373.92 |
| 7 | სარეკხელა სოფონი და შერეული | 3.00 | 101.69 | 305.07 | 25.00 | 75.00 | 380.07 |
| 8 | ტრაპი d50 | 4.00 | 6.38 | 25.52 | 5.00 | 20.00 | 45.52 |
| 9 | გაქვნილი d100 | 2.00 | 29.15 | 58.30 | 10.00 | 20.00 | 78.30 |
| | ჯამი | | | 4,319.74 | | 1,522.50 | 5,842.24 |
| | ზედნაღები ხარჯები | 6% | | | | | 350.53 |
| | ჯამი | | | | | | 6,192.77 |
| IV | გაუმართი მოვლა | 6% | | | | | 371.57 |
| | ჯამი | | | | | | 6,564.34 |
| | ბაუთეფლისწინაგული ხარჯები | 3% | | | | | 89,573.63 |
| | ჯამი | | | | | | 2,087.21 |
| | ლაბ. | 18% | | | | | 92,260.84 |
| | სულ | | | | | | 16,606.95 |
| | | | | | | | 108,867.79 |



იმ თამაზი ჯანსაღი
 გინდობა ჯანსაღი
 შ.პ.ს. ჯანსაღი



იმ "თავაზი ჯანსაღი"

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად, ქვემოთ ხელმომწერი პირ(ებ)ი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ი/მ „თამაზი ჯანელიძე“-ს შორის 2017 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული №204 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

უფლებამოსილი პირები:



მამუკა მატარაძე



კაბა ფანცხავა



რევაზ მხეიძე



ზურაბ მურვანიძე



იონა ჯორჯუა



კობა გოგიძე